„არაფერია აქ ახალი, ამ ცის ქვეშეთში,

ახალი ჰქვია ძველს რომ კარგად გადაივიწყებ!..

მაგრამ გვაქვს კი იმის უფლება, რომ გადავივიწყოთ, დავივიწყოთ რანი ვიყავით, საიდან მოვდივართ, რამდენი ჭირ-ვარამ გამოვლილი ქვეყნის შვილები ვართ. ამას ფართო ჭრილში თუ განვიხილავთ, მოგვიწევს უაზრო კამათი მავანთა დასამშვიდებლად.

მრავალი გმირი ჰყავდა მარიამის წიხვედრ საქართველოს, ჩვენს დალოცვილ მიწა-წყალს, როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ისე ჩვენს წელთაღრიცხვის აქეთ!

„მერე რა რომ მტერი გვერტყა ჯარად,

ჩოხა მუდამ სისხლიანი გვეცვა,

მე შვილები მყავდა გმირთა გმირი

და ლამაზი საქართველო მერქვა.

მერე რა რომ გადამძლია მტერმა,

მტერი ჩემი ლამის ზარზე ეცვა,

მე დავითი გამოვზარდე მაშინ

და დიდგორის საქართველო მერქვა.

დრო მიქროდა, ქედს მიხრიდნენ ირგვლივ,

ვიდექ როგორც ბერმუხა და ძელქვა,

ნიკოფსიით დარუბანდით გაშლილს

მე ძლიერი საქართველო მერქვა.

მერე რა რომ ცბიერ შაჰ-აბასმა

არ გვაცალა სიმღერა და ცეკვა,

მაინც ხომ არ შევარჩინე ჯავრი

სააკაძის საქართველო მერქვა!“

...„ჩემო ქვეყანავ, შენი უღელი

სულ მედგრად მიტარებია,

არ დავცემულვარ მუხლმოუხრელი,

სიმღერით სევდა დამიძლევია!“...

მადლობელი ვარ:

შენი დიდი გმირების, ვისი წყალობით დღეის- დღეობით ვხედავთ ალიონს; ვიცით, ან თუნდაც ვცდილობთ ვისწავლოთ, შევიგრძნოთ, შევისისხლხორცოთ და გავითავისოთ ჩვენი ქვეყნის გარდასულ დღეთა ვარამი და დიდება; მიუხედავად იმისა, რომ დღეს არ ხარ გადაჭიმული ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, შენი დღეგრძელობისა იყოს, ჩემო ქვეყანავ!

მადლობა, შენი დილის ცვარ-ნამით შემოსილი ია-ენძელის, მინდორ-ველებზე კაკბების კაკანის, არწივის გადმოსაფრენის, ირმების ჯოგის გადმოსახედის, წითელფეხება მტრედების, ვარდის სურნელის, სისხამ დილით საკვამურიდან ამოსული კვამლის, ნისლის, წვიმის, თოვლის, ქარის, იმ ქარიშხლისაც, რომელიც ძვალ-რბილში მატანს. შენი ლურჯფრთიანი კლდეების, წართმეულ- დაკარგული აფხაზეთ-ოსეთითა. პირთამდე სავსე იმ თასის, რომელშიც ვაზის ცრემლია, იმ ავ-კარგიანი სიმართლის, რომელსაც ყოველდღიურად ვეჯახებით. ოჯახის სიწმინდის, ვაჟკაცობის, ძმაკაცობის ეტალონის მომხრეთა და ერთგულთა ჩათვლით.

მადლი მათ: მუშურ-გლეხური პოზიციიდან დაწყებული ზედა ეშელონებით დამთავრებული, ვინც სამშობლოს სადიდებელ სადღეგრძელოს ამბობს არა ლიტონი სიტყვით, არამედ გულით.

მე კი, ჩემდა თავად დავსძენ, თუნდ ცხრა მთას იქით რომ გადამისროლოს ბედმა, სხვამ რომ მიგატოვოს, დაგთმოს, მე ვერ დაგთმობ! ... „უწინამც დღე კი დამელევა მე!“ ...

იცოდე უყოყმანოდ ჩემი სხეული მიიღე წამლად!..

სკოლის საქმისმწარმოებელი --- რიმა გაწერელია